ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, ოქტომბერის 13

1918 წელი

№ 5.

ფასი 70 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ყოველ-კვირეული

გაზეთი „კლდე" გამოცემა

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის

მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 70 კაპ.

განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის ადრესი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3, ტელეფ. № 22.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

კონტორაში (გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი).

## ცნობები.

ინგლის-საფრანგეთი მიემხრო ამერი...ს პასუხს და აცხადებს, რომ ცალკე პასუ...ს გერმანია ვერ მიიღებს, სანამ არ გამო...რკვევს მისი შეხედულება ვილსონის პირო...ბებზე.

---

ამერიკისა, კანადის და საფრანგეთის ...ავრობის წრეები ომის გაგრძელების მომ...რენი არიან „გამარჯვებამდის".

---

გერმანიის სამხედრო წრეები აღნიშნა...ენ, რომ ზავის უარყოფის გამო გერმანიის ...არი იძულებული იქნება სისტემატიურად ...ან დახევის დროს მთლად გაანადგუროს ...პყრობილი საფრანგეთი და ბელგია.

---

გერმანიის რაიხსტაგი იკრიფება 16 ...ქტომბერს.

## წერილები.

მეთაური. ზავის პერსპექტივები.
გ. ვეშაპელის სიტყვა: ირ. წერეთლის საპასუხო.
მიხაკო წერეთლის წერილიდან; საქართველოს ორიენტაციებზე.
რ. გაბაშვილი. თბილისის გაქართულება.
ი. ციციშვილი. სომეხ-ლტოლვილთა კოლონიზაცია.
ნ. მაღალაშვილი. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ისტორიიდან თ. II.
შ. ქარუმიძე თავდადებული მამულიშვილი.
ი. ჭუთნია. საინგილოს გასაჭირი.
ქართული პრესა. გაზ. „საქართველოს" აგრარულ პროგრამაზე.
გერმანული პრესა. გ. ბაგრატიონის და სხვა დატუსაღებულ მემამულეთა შესახებ.
პატარა ფელეტონი—რაც სი. აქა ამბავი დარბაზისა...
ფელეტონი. სოციალისტური რესპუბლიკა თ. VI
მეურნეობის კრიზისი. მ. მაღლაშვილის მამული.

თბილისი, ღვინობისთვის 13

# ზავის პერსპექტივები

ომი, რომ გერმანიის გამარჯვებით ...თავდეს ეს იქნება გამარჯვება გერმა...ულ ერის სამხედრო და სახელმწიფო ...რგანიზაციისა, რომელსაც უფრო კონ...ერვატორული, მონარქიული სახე ...ქვს.

და თუ ეს ომი გერმანიის დამარ...ხებით გათავდა, ეს იქნება გამარჯვება ...მერიკულ სამხედრო და სახელმწიფო ...რგანიზაციისა, რომელსაც უფრო ლი...ერალური და რესპუბლიკანური სახე ...ქვს.

პირველად ისტორიაში ასეთი ცხა...ი დაპირდაპირება მილიტარულ მონარ...იისა და კომერსანტულ რესპუბლიკისა.

გერმანიის გეგმა ზავის ჩამოგდებისა ...ეულებრივია ისტორიისათვის: თუ ერ...ი მოპირდაპირე მეორეს ვერ სპობს, ...რივენი უნდა იმაზე მორიგდენ, რომ ...ამარცხებული მოკავშირეების მ წა-წყა...ი გაიყონ და ამით ამოათქმევინონ სუ...ი თავიანთ ერებს, ღალღულთ ეკონო...იურად და კულტურულად.

ამერიკის რესპუბლიკას კი რადაც, ...რ კაცობრიობისგან უნახავი, ზავი ...და დაამყაროს, ისეთი ზავი, რომ შემ...ეგში ომები აღარ იყოს...

თუ ისტორიას დავუჯერებთ, ჯერ ...ეთი დრო კაცობრიობას არ უნახავს, ...ომ ერები ომით არ სწყვეტდნენ, სადაო ...ქმეს და რომ გამრავლებულ, გამდიდრე...ლი, ნასწავლი ერი თავის ქკუა-მოკლე ...ა ხელ-მოკლე მეზობელს არ ჯობნიდეს.

ამიტომ თვით ვილსონის საზავო პი...ობები ორჭოფია და ერთად ერთი მსაჯუ...ი სადაო კითხვებისა ალბად თვით ევ...ორი იქნება—ამერიკის ჯარი.

გერმანიას არ შეუძლია გაყვეს ამ ...ა ს გზას: გერმანია თუ რამეს დაცლის, ...აცლის მხოლოდ საფრანგეთს და ბელ...იას, რომ საფრანგეთს ომის მიზანი მო...სპოს; სამაგიეროდ გერმანია არ დაცლის ...ოფილ რუსეთის ტერიტორიას, არ დას...ოვებს გზას აღმოსავლეთში და ინგლი...თან ბრძოლის ცენტრს აზიაში გადმოი...ანს. აზიაში სწყდება ოსმალეთის ორი...ნტაციის საკითხიც... მაგრამ ორივე ...მბრძოლს ფილდმ ვილჰელმს და ბურ...უა ვილსონს ერთი საერთო მტერი ყავთ ...უჟიკი ლენინი, რომლის პოლიტიკა ...რის ყველაზე უკეთ ხალხისა, რომელსაც ...რაფერი აბადია მაინც და მაინც რომ ...ამე დაკარგოს და თუ ომით დაღალუ...ი სახელმწიფო მაშინა მოშალეს მაშინ ...მეძლებულ ხალხის სიმდიდრის გაყოფისა ...ა ხელში ჩაგდების იმედი მაინც აქვთ. ...უსეთის „რევოლიუციის" და ანარქიის ...ეგი ეწვევა ყველა იმ სახელმწიფოებს, ...ომელნიც ომს ვერ შეძლებენ და ზავს ...ი ჩამორჩებიან ვილსონის სამოთხისათ...ვის.

გერმანიას ყველაზე ნაკლებ უნდა ეშინოდეს ლენინის ამბების: გერმანული სისხლი, გერმანული ჭკუა და გერმანული ორგანიზაცია ძლიერ მაგარია: გერმანელი სოციალ-დემოკრატები სხვა ხალხია და სახელმწიფოების მატრაკვეცა პროლეტარიატის პროვოკაცია და გასულელება თუ უყვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი დემოკრატიული მონარქია არ უყვარდეთ! მეტი დავიდარაბა სინდიკალისტების სამშობლოში, საფრანგეთში არის მოსალოდნელი.

და თუ ამერიკას ლენინის სოციალიზმი არ აშინებს, მას ლენინზე საშინელი ყარაული ჰყავს მეზობელ კუნძულზე—ყვითელი რასა—რასა იაპონია—ჩინეთისა, რომელიც სწორედ დღეს რუსეთში ლენინის მფარველის როლს თამაშობს...

თუ საფრანგეთ-ინგლის ამერიკა და მთელი თეთრი რასა არ დათანხმდა კომპრომისულ ზავს დამარცხებულ რუსეთისა და კიდევ ზოგიერთი სახელმწიფოს ხარჯზე და ომი ვილსონის სამოთხის მოციქულის განაგრძეს ლენინიდანაც და იაპონიიდანაც ის დაემართებათ, რაც თავის დროზედ რუსეთს დაემართა.

---

# ირ. წერეთლის საპასუხო

### სიტყვა გრიგოლ ვეშაპელის *).

ბატონებო! სოციალ-დემოკრატების „რიგიანი" ლიდერის პასუხის უფლება, მხოლოდ დღეს შემთხვევა ნაცრონილ დემოკრატებს; ალბად ბ-ნ ირ. წერეთლის სიტყვის პათოსმა დაავიწყა მემარცხნე ფრთას სოციალ-დემოკრატიული რეგლამენტი, რომელიც იმას მოითხოვს, რომ მათი „რიგიანი" ლიდერის შემდეგ საპასუხო სიტყვა არავის მიეცეს.

ბ-ნმა ი. წერეთელმა საქმეზე მხოლოდ ისა სთქვა, რომ მთავრობას ჯარზე უკვე აუარებელი ფული აქვს დახარჯული,—თუ ეს მართალია, რატომ არა გვყავს გაწყობილი ჯარი? მაშ გლახად უხარჯიათ. ჩვენ კი გარკვეულად მოგახსენებთ,—ჯარი იმიტომ არა გვყავს, რომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას არ უნდა, ეშინიან, რომ საკუთარი რეგულიარული ჯარი მოეწყოს, თუმცა იმის არ ეშინიან, რომ მეგობარ გერმანიის იმპერატორის ხიშტებზე უხდებათ ჯდომა!.. სანამ ჩვენს მთავრობის სათავეში ის კაცი იქნება, რომელიც არ ენდობა ჯარს, როგორც რესპუბლიკის მეაფლავეს, მანამ საქართველოში ჯარი ვერ მოეწყობა.

ჩვენი პატრიოტული ოფიცრობა ამიტომაც ვერ იჩენს ენერგიას და თაოსნობას ჯარის ორგანიზაციისთვის: სამხედრო პირთა პატრიოტიზმა ჩვენი მთავრობისათვის კონტრ-რევოლიუცია არის!

ბ-ნი ირ. წერეთელი გვანუგეშებს: რაც იყო, იყო, აწი, ამას იქით მაინც ფულს არ ვინანებთ ჯარისათვისო: მომარაგების კომიტეტში დაგროვილ სახელმწიფო ქონებას ვყიდით, თითქმის ხუთი მილიონისას და სულ ჯარზე დავხარჯოთო. ამაში კი მართლაც შეგვიძლია დავუჯეროთ სოციალ-დემოკრატებს: თუ მათ მილიონობით სახელმწიფო ქონების გაყიდვა გარდაწყვიტეს, ამ საქმეს ჩინებულად შეასრულებენ; არცერთ მთავრობას ისე არ მოეხერხება სახელმწიფო ქონების გაყიდვა ნარდათ და წვრილად, распивочно и на вынос, როგორც ჩვენს სოციალდემოკრატებს. იმისი დარდი სრულებით არა აქვთ, რომ ისეთ ქონებასაც ყიდიან, რომელსაც საერთაშორისო ანგარიშებით გასწორება უნდა სხვა სახელმწიფოსთან, და რომლის ანაზღაურება თავის დროზე ისევ ისე ქართველ გლეხობას დააწვება კისერზედ...

სოციალ-დემოკრატების „სახელმწიფოებრივი" ფინანსიური პოლიტიკა ის არის განა, რომ იმ დროს როცა ერთად ერთი ფორმა ფინანსებისა მაშინაზე ქაღალდის ფულის ბეჭდვა არის, ამ ქაღალდის ბონებს რიგიანად ხარჯვაც ვერ მოუხერხებიათ: ისე ხარჯავენ, რომ ყველაზედ უფრო საჭირო სამხედრო საქმეს ვერ აკმაყოფილებენ და ახლა სახელმწიფო ქონების გაყიდვით უხდებათ ჯარისათვის ფულის შოვნა! მერე რომელ ფულად უნდა გაყიდონ ქონება?—ოქრო-ვერცხლად?—არა იმავე ქაღალდის ბონებში, რომელსაც მთავრობის მაშინა ბეჭდავს! და ყველაზედ უფრო სავალალო ის არის, რომ სახელმწიფო ქონებას ამ ბონებით პირველ ყოვლისა ის სომხეთი და აზერბეიჯანი შეიძენს, რომელსაც ბ. ირ. წერეთელმა თავის დროზე ასეთის კეთილშობილებით უთავაზა 80—80 მილიონი ბონები, რადგან მარტო ქართული ბონების გამოშვება მისმა ინტერნაციონალიზმა გონებამ ვერ მოინელა. თუ აქამდის თავად აზნაურობას აყვედრიდენ, მამულები გაყიდესო, ამას იქით ისტორია დაიმახსოვრებს, რომ სოციალ-დემოკრატი ყიდდა მთელ საქართველოს წვრილად და ნარდათ!—ასე აშენებს სახელმწიფოს ის პარტია, რომელმაც ძლივს ძლიერობით ჩამოხსნა თავის ფირმას სიტყვა „რუსეთის", მაგრამ რომელსაც ვერ გაუგდავს ეწოდოს თავის თავს „საქართველოს სოციალ-დემოკრატია", რადგან მიჩვეულია უცხო ძალის, უცხო „დემოკრატიის" ხარჯზე ცხოვრებას, ყოყმანშია და კიდევ ელის იქნებ რომელიმე დიდი სახელმწიფოს სახელმწიფოს სახელი მივაკეროთ ჩვენს პარტიასო? ასე აშენებს სახელმწიფოს ის პარტია, რომელსაც მხოლოდ შემთხვევით დროებით, რამოდენიმე თვით აქვს ჩაგდებული ხელში სახელმწიფოს გამგეობა და რომელიც მხოლოდ იქამდის გაძლებს, სანამ ფულის საბეჭდავი მაშინა იმდენ ქაღალდის ფულს არ დაბეჭდავს, რომ მისი ფასი მართლა ქაღალდის ფასი გახდება!.. მერე კი ისევე მიატოვებენ საქართველოს, როგორც ყოველთვის ჰქონდათ მიტოვებული და ვინც რუსეთიდან იმიტომ გამოიქცა, რომ გამბედაობა არ ეყო, ½ ლენინის როლის მაგიერ მთელი ლენინის როლი ეთამაშა,—ის საქართველოდანაც გაიქცევა, რადგან აქ მის ჭკუა არ ეყო, რომ დავით აღმაშენებლობა გაეწია!..

ამ ბოლო დროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პარლამენტში კრიზისს განიცდის: მიუხედავათ სიმრავლისა, ს. დ. წარმომადგენლები არა ერთხელ ყოფილა უარყოფილი, რადგან ი. წერეთლის წინააღმდეგ ერთდება ყველა არა სოციალ დემოკრატიული ფრაქციები... დღეს მდგომარეობა იცვლება.. იზოლიაციით დაშინებულმა ირ. წერეთელმა შემოიერთა ახალი ძალა—არა ქართველი დეპუტატები, რომ ლთა ოციოდე ხმის მიმატებით, იქმნება ს. დ. ბლოკის დიქტატურა პარლამენტში... ღირს შესანიშნავი ის, რომ „ეროვნულ უმცირესობათა" არც ისე მცირე, 27 დეპუტატი, ერთ არა ქართულ ფრაქციით გაერთიანებული ჩვენს დარბაზში ცენტრალურ ალაგებს იჭერს. თუ აქამდის ის გვაწუხებდა, რომ საქართველოს პარლამენტს ცენტრის ფრაქცია არა ჰყავდა, ამას იქით შეგვიძლია დავმშვიდდეთ; სომეხ-რუსის დეპუტატები—ყოფილა საქართველოს ცენტრი; და ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, ვუყუროთ, თუ როგორც განაგრძობენ საქართველოს სახელმწიფოს შენებას სოციალ-დემოკრატია და არა ქართველი ცენტრი! („მართლა ავაშენებთ" ისმის ხმა სომეხ დეპუტატების) სეირსაც ვნახავთ!

ბ. ირ. წერეთელი მეტის მეტად გაუმწარებია ჩვენს ოპოზიციას და პროვოკაციულად გვაყვედრის ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციიდან გაყოფას; უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ბ. ირ. წერეთელსაც მიუძღვის ღვაწლი: მას ერთიანი ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის წინანდელი ოპოზიციაც ვერ მოუნელებია და სხვა და სხვა კომბინაციებით ცდილობდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია სოციალ-დემოკრატიის მახანჩალად გაეხდა, მაგრამ ბ-ნ ირ. წერეთლის პოლიტიკა აქაც დამარცხდა და მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მარჯვენა ფრთამ წინანდელი კომპრომისული ოპოზიციის გზაც უარჰყო და როგორც ცალკე ფრაქცია შეუდგა, დამოუკიდებელ, უკომპრომისო ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც მუდამ ისხვა იქნება ბ-ნ ირ. წერეთლის ინტერნაციონალურ პოლიტიკისთვის!

ბ-ნ ირ. წერეთელი და მისი ფრაქცია ამას იქით ვერას გზით ვერ წაუვა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების ოპოზიციას; ერთად ერთი გზა, რომელიც დარჩენია „კეთილ-შობილებისა და რიგიანობის" რაინდს, ირ. წერეთელს, ის არის რომ სტოლიპინის განსვენებული სისტემა მოიგონოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჟანდარმერიის, „საგანგებო რაზმის" „შეფისა" და მისი სახელოვანი „დირექტორების" ინიციატივას მიმართოს ოპოზიციურ დეპუტატების „მოსასპობად"! ჩვენ არც ამის გვეშინია! საქართველოს, კონვენტშიაც მოიპოვება ჟირონდისტები!

ახალი პარლამენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნების იმედი კი ბ-ნ ირ. წერეთელს და მის ფრაქციას ნუ ექნებათ! რაც უნდა ტერორი გაამეფონ თავიანთი რაზმებით, რაც უნდა ფული ხარჯონ ბოლშევიკური 30 მილიონის ანგარიშებით, სულ ერთია ქართველი ხალხის უმრავლესობას, გლეხობას რომელიც დღეს განზეა გამდგარი და არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს,—ამ გლეხობის ხმებს სოციალ-დემოკრატები ვერასოდეს ვერ დაიბრუნებენ: და როდესაც დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის საქართველო გახდება პარტიების ახალი, უფრო „გარკვეული", დროს შესაფერად, პოლიტიკური პლატფორმები, მაშინ ვნახოთ, თუ რომელ პარტიის ლოზუნგებს მისცემს ხმას ქართველი გლეხი!

*) ნათქვამი პარლამენტში 8 ოქტომბერს ჯარზედ კამათის დროს.

---

# თბილისის გაქართულება.

საქართველოს გაერთიანება ჯერ ჯერობით არ გასცდენია თეორეტიულ მსჯელობას, ნუ უკაცრავად რომ, ვსთქვათ—თეორეტიულ კამათს და ამიტომ არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა არც მთავრობას და არც ხამეტნავად, რასაკვირველია, ქალაქს ჰქონდა თვითმართველობას—რომ გული და სახე საქართველოსი, მისი დედა-ქალაქი გაექართულებინოს და ქართული სახე მიეცეს. ყველა ჯურის რევოლიუციონერებს უყვართ თქმა, რომ ხალხს უნდა აჩვენო სიკეთე ამა-თუ იმ მოვლენისა, განაცდევინო იგი და შემდეგ მას ადვილად აღარ დასთმობსო. ეს მართალია, და ქართველ ხალხსაც უნდა ვაჩვენოთ, საზოგადოებას ჩავაწვეთოთ ყურში, ჩაუღმაზოთ თვალში და გულში ქართული სული ჩვენს დედა ქალაქში. დაიარეთ ჩვენი ქუჩები, ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენი მოედნები და შუკები—თქვენ ვერ შეხვდებით ქართულ წარწერას, ქართულ განცხადებას, აფიშას—ყველაფერი რუსულია ისევე, როგორც იყო და ქართულს ქართული არა სცხია რა.

ნუთუ მთავრობას აქამდისაც არ უნდა გამოეცა ბრძანება, რომ ყოველი წარწერა და განცხადება, დეპეშები და სხ. უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფო ენაზედ და მხოლოდ იქ, სადაც ეს აუცილებელია იყოს აგრეთვე პარალელურად სხვა ენებზედაც.

განა დრო არ არის ქუჩების რუსული სახელებიც გამოიცვალოს და რუსული მათი დაწერაც? განა დრო არ არის სასახლეზედ რუსული დროშის მაგიერ ქართული დროშა ავაფრიალოთ? დრო არ არი სახელმწიფო ბანკის კარებზედ ორთავიანი არწივის მაგიერ-თეთრი გიორგი გამოვსახოთ? დრო არ არის მაღაზიებისა, რესტორანებისა, დუქნებისა და სხ. წარწერანი გავაქართულოთ?

და თუ ყველა ამისათვის დრო არა გვაქვს ეხლა, ნუ თუ შიში არ უნდა დაებადოს ყველა სამშობლოს მოტრფიალეს, რომ ამისათვის აღარც გვექნება დრო? ეს მე კი გულს გვკლავს ის მდგომარეობა, რომ ქალაქის თვითმართველობა, გადაქცეული ინტერნაციონალურ სამსჯავროდ საქართველოს სახელმწიფოსათვის, ჩხირს არ აბრუნებს ქალაქის საქმეებისათვის:—ყველაფერი მოშლილი და წამხდარია—წყალია და მღვრიეა, ისიც ორ დღეში ერთხელ, ტრამვაი—და ვაია, ქუჩები ჭუჭყიანი, ბაზარი მყრალი, ნაგვიანი და გამოქცეულთა სათარეშო, გულს აგირევთ მათი ქექვა ნაგვის ყუთისა, დამპალ სანოვაგისა და ხილისა—ნამდვილი ხოლერის და სახადის ბუდეა.

სიბინძურე და სიბინძურე ყველგან—აი ინტერნაციონალური საქმიანობა იქ, სადაც გრძელი, პრტყელი და ღრმა კამათია სოციალიზმზედ, სოლიდარობაზედ და ხალხის კეთილდღეობაზედ. ქალაქის მამები, უმეტეს ნაწილად გაქცეული ჯარების და გამოქცეული სოფლების წარმომადგენელნი—უხვად ანთხევენ შხამს ჩვენი დამოუკიდებლობის და ქვეყნის წინააღმდეგ და არც ერთ ნაბიჯს არ სდგამენ იმისათვის, რომ ქალაქი გასუფთავდეს, გალამაზდეს, გაქართულდეს—ეს მათი ზრახვების წინააღმდეგია და ნუ თუ მთავრობამ ამ მხრივ მაინც არ უნდა მიაქციოს ყურადღება დედა ქალაქს, სადაც საქართველოს პარლამენტის გვერდით მხოლოდ რუსული წარწერა და რუსული დუხი ტრიალებს: „здѣсь русскій духъ, здѣсь Русью пахнетъ"; და როგორი „დუხი" იყო ეს დუხი რუსულმა ჩეკამ მოგვაგონოთ ყაზარმებიდამ.

ჩვენ მოველით განკარგულებას, რომ ამიერიდან ყველა მოვალედ გავხადოთ ყოველი წარწერა, განცხადება და აფიშა გაქართულდეს და რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო, საზოგადო და ქართული საბჭოებიდან დაიწყოს. მაგალითი წამბაძველია და რამოდენიმე ხანში ყველაფერს საქართველოს ფერი უნდა მიეცეს. ამას მოითხოვს, არა მარტო ესთეტიური გრძნობა ქართველ ერისა, არამედ სახელმწიფოებრივი ენის კანონიერება და სახელმწიფოებრივი მოსაზრებაც, ვინაიდან აქ უთანხმდება რევოლიუციონური შეხედულება—სახელმწიფოებრივს; უნდა რეალურად აჩვენო ყოველ ქართველს საქართველოს დამოუკიდებლობის მონაპოვარი და უნდა რეალურად აჩვენო ყოველ უცხოელს, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოშია და არა რუსეთის გუბერნიაში.

რ. გაბაშვილი.

---

# თავდადებული მამულიშვილი.

(ლადო გარსევანიშვილის გარდაცვალების გამო)

მცხეთაში გარდაცვლილა ლადო გარსევანიშვილი. ფართო საზოგადოებას ეს სახელი არაფერს ეტყვის. სამაგიეროთ ბევრს რამეს გვეუბნება ჩვენ, ვინც ვიცნობდით. გულს გვიკლავს მისი დაკარგვა, მწარე და უზომო მწუხარებას იწვევს ჩვენში. „საქართველოს განმათავისუფლე-

ბელი კომიტეტის“ მუშაობამ შეგვყარა ჩვენ ერთათ. ის ჯარის კაცი იყო იმ დიდ მუშაობაში, რომლის მთავარი ძარღვი ბერლინში სჩქეფდა მიხაკო წერეთლისა, გიორგი მაჩაბლისა და სხვა მამულიშვილთა მეცადინეობით. ჯარის კაცი პატიოსანი, განწირული და სამშობლოს სიყვარულის ჩაუნელებელი ცეცხლით აღზნებული.

ამ ჯარს და ჯარის კაცებს ჯერ ვერ ხედავს ქართველი ერი, ვერც მათ საფლავებს ამჩნევს. ვერ ხედავს მიტომ რომ დამოუკიდებლობა ასე ვთქვათ ზურგიდამ მოვიდა, საიდანაც არ მოელოდა ერი. პირი ჩვენ სხვა მხარეს გვქონდა, რუსეთისაკენ იყო მიქცეული მთელი ერი, მისი იმედი და რწმენა, იქით ეზიდებოდა მთელ მის არსებას ჩვენში გაბატონებული აზროვნება.

ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ ფრეილინის ქუჩაზე ეროვნულ საბჭოში ერთი აღთქმა ამხილა; მისი აზრი შემდეგი იყო ზედმიწევნით: ჩვენ, სოციალ-დემოკრატები ვერიდებით გაბედულ ნაბიჯების გადადგმას ეროვნული პოლიტიკისაკენ, ვინაიდან ვშიშობთ, რომ ეროვნულად ინდეფერენტი ხალხი ჩვენ არ ჩამოგვშორდეს და რად გინდათ ჩვენი თავი უხალხოთ.

ამ სიტყვიდამ ერთი რამ არის აღსანიშნავი. სოც.-დემ. გაარღვავა ეს ინდეფერენტიზმი, შესცვალა ეროვნული გრძნობა სხვა გრძნობით, ხალხს პირი უბრუნა და რუსეთი ისეთ კერპათ აუყუდა, რომლის გარეშე არ იყო ხსნა. აი ამისათვის, როდესაც ეს კერპი დაიმსხვრა და მის ნაცვლად მოსჩანს შემზარავი საფლავი, საიდანაც მხოლოდ სიკვდილი გამოიყურება—ჩვენი ხალხი თავბრუ დახვეული სდგას დღესაც ამ საფლავის თავზედ, სიკვდილს ერიდება, მაგრამ სავსებით ვერ გამორკვეულა. ვერ ხედავს იმ ხსნას და ბედს, რომელიც ზურგიდან მოადგა. ასე ღრმათ იყო იგი შესული უარყოფით მორევში.

მაგრამ იყო ხალხი, რომელიც ვერ დასძლია როც.-დემ. ქადაგმა და ეროვნულმა ინდიფერენტიზმმა ვერ ჩაახრჩო მათში ეროვნული შეგნება და მოვალეობა. ამ ხალხს განსვენებული ლადო ეკუთნოდა.

ის დეპოს მუშა იყო, მაგრამ „დეპოს“ მსოფლ-მხედველობას ვერ ჩაეხშო მის აზროვნებასა და გრძნობაში ვერც ტრადიცია სვეტი-ცხოვლისა, რომლის კედლებთანაც აღიზარდა, ვერც გადმოცემანი მთის შვილთა შამანაურებისა, რომელთა ჩამომავალიც იყო.

ლადო სალი, კეთილშობილი პატრიოტი იყო. მე გავიცანი სახალხო უნივერსიტეტში ჩემი ლექციების დროს მსოფლიო ისტორიიდამ. ინტერესი ერთსადმი, ეროვნული საკითხისადმი დიდათ არჩევდა სხვებისაგან. დაიწყო ომი. მეწვია ორი თავისი მეგობრით. იმ დღიდამ ერთად ვიყავით. თუ ოდესმე ჩვენს დღიურს უწყრია ბედისაგან იხილოს მზე სავსეთ, მაშინ განსვენებულის ამაგიც გაღიშლება და გვწამს მისი ლამაზი ცხოვრება—ტიპი ნამდვილი ხალხოსნური პატრიოტი დემოკრატისა ღირსეულ პატივისცემას მოიხვეჭს ჩვენ საზოგადოებაში. ეხლა კი რომელიმე ამონაწერს ვუძღვნი ამ დღიურიდან, ოქტომბერი, 1914 წელი.

....შემოვიდა ლადო და მისი მეგობარი მუშა ქეშელი, ვანო. კითხა ლექციის და ჩვენ გაზეთებს აფლევვებია. არ მოსწონთ საშინლად. ლადოს ლაპარაკში დიდი წყრომა და მწარე ნაღველი მოსჩანს.

...გერმანიამ უნდა გაიმარჯოს, უნდა დაინგრეს რუსეთი, მოშორდეს აქედამ, ეს იქნება ხსნა ჩვენის ქვეყნისა. რა და ვიღუპებით. დიდათ ჩაგვრია ხელი რუსეთმა. ხალხი გადაგვარდა, მამული წაგვერთვა, სამუშაოც ხელიდან გვერთმევა. ხომ ხედავ რა ამბავია თბილისის სამუშაო ადგილებშიაც. უწყალოთ ვიდევნებით. ჩვენები ჯარში მიდიან, ჩვენს ადგილს სომხობა და ყველა ჯურის ადამიანი იჭერს. კიდეც რომ დაბრუნდენ, ულუკმა პუროთ დარჩებიან. გერმანია ნასწავლი ქვეყანაა, ცოდნასა და განათლებას მოგვაწვდის, ახალ წესებს შევითვისებთ, გადარუსებიდან გამოვბრუნდებით, ვიქართველებთ ენით, საქმით. ეს არის ჩვენი ხსნა. ღმერთმა მისცეს გერმანიას გამარჯვება..

ასეთი რწმენა ჰქონდა განსვენებულს.

მეორედ, აჭარის უბედურობის დროს, აი რას მეუბნებოდა: „რა ვქნა, რითი დავეხმარო ქვეყანას, სიტყვა არ მიჭრის, სწავლა არა მაქვს, სხვას რა ვასწავლო, მაგრამ უსაქმურობა ღალატია დღეს. ერთი მარჯვენა მაქვს და თავი, აი ეს შეიწიროს ჩემმა ქვეყანამაო.

და მისმა მარჯვენამ ბევრი რამ გააკეთა... გააკეთა იშვიათის მადლით და რაინდულის სილამაზით. „კომიტეტის“ ისტორიის ერთი საუკეთესო ფურცლები მისი ნამოქმედარით არის აღვსილი.

... ზღვის პირას ,,ამბას‘‘ მოლოდინში, რომ ავანთებდი სანიშნო ცეცხლს, ლადო მუგუზლებს აათამაშებდა. დამოუკიდებლობა მოდის, ეს მისი ჩირაღდანიაო.

ჩვენ ვეღირსეთ დამოუკიდებლობას, შენ ვერ დასტკბი მისი განმტკიცებით.

მაგრამ შენ ააგე საფლავი პატიოსანი, რომელიც არ წაიშლება ერის ცხოვრებიდამ, დასტოვე სახელი უკვდავი, ისე, როგორც იმ ჩვენმა მეგობარმა ნ. ნასყიდაშვილმა, რომელმაც პირველმა გაიტანა ჩვენი ამბავი და ჩვენი აზრი საზღვარგარეთ მიხაკოსთან და 1915 წელს სიკვდილი ჰპოვა უცხო ბიბურთში.

შ. ქარუმიძე

## მიხაკო წერეთლის წერილი

### ,,საქართველოს ორიენტაციაზე''

მიხაკო წერეთელი ბერლინიდან დ. ვაჩნაძის სახელზე გამოგზავნილ წერილში ასე ამბობს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე:

„თუ ჩვენ არ ვაზროვნობთ, თუ ჩვენ სულელები ვართ, თუ კიდევ რუსეთისკენ მისწრაფიან ჩვენები, მაშინ ჩვენი საქმე წასულია,—ღმერთიც ვეღარ გვიშველის! გაავრცელეთ ხალხში ის ჭეშმარიტება, რომ თუ რუსები ან და ინგლისელები შემოვიდა ჩვენში არა თუ პოლიტიკურად, ფიზიკურად იქნება Finis Georgiae“

## სომეხ-ლტოლვილთა კოლონიზაცია საქართველოში

სომეხთა ეროვნულ საბჭოს თხოვნა აღუძრავს ჩვენი მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა ახსნას ლტოლვილთა „კონცენტრიული ბანაკები“ და საქართველოს სომხურ სოფლებში დასახლების ნება დართოს.

საბჭო ამასთანავე გვპირდება, რომ ლტოლვილნი, როცა შესძლებენ, ან სამშობლოში დაბრუნდებიან ან, ყოველ შემთხვევაში, საქართველოდან სხვაგან წავლენ, აქ კი არ დარჩებიანო.

მოვიგონოთ ისტორიიდან თუ რას ნიშნავს „დროებით“ ლტოლვილების დასახლება საქართველოს „სომხურ“ რაიონებში.

როცა მოხუცი ერეკლე-მეფე კაცს კაცზე უგზავნიდა თერგზე მდგომ რუსის სარდალს და ეუბნებოდა: ,,არიქა, საჩქაროთ მომეშველეთ თორემ აღა მაჰმად-ხანის ურდოები ქვეყანას ამიოხრებსო, რუსის გენერალი არ აჩქარებულა, რათა დროზე გადალობებოდა გააფთრებულ სპარსეთის მბრძანებელს.

იმ დროინდელი საქართველო უკვე რუსეთის გამზადებული ლუკმა იყო, მაგრამ დიდი იმპერია არა ჩქარობდა, რადგან მოელოდა რომ მხთოვანი მეფის დამარცხებით მისი ავტორიტეტი დაეცემოდა და ხალხსაც საკუთარი ძალისადმი რწმენა საბოლოოთ დაეკარგებოდა, ამასთანავე მაშინდელ რუსის მთავრობის მორიგ ლოზუნგს შეადგენდა ,,საქართველო უქართველებოთ''.

შემდეგ საქართველოში დამკვიდრებისა ეს ლოზუნგი რუსის, მართველობამ სისტემათ აქცია და უკანასკნელ დღემდე საცა კი შეიძლებოდა, საქართველოში ქართველის განდევნას ცდილობდა.

რადგანაც წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთს საემიგრანტო ელემენტები თითონ არა ჰყავდა, ჩვენი ქვეყნის ეთნოგრაფიულათ აჭრელებ სათვის მან მიმართა სომხის ხალხს და პირველსავე წლებში 2000 კომლი ყარაჩაღელი სომეხი დაასახლა ავლაბარში. ამას მოჰყვა თბილისის მაზრისა და ნამეტნავად ბორჩალოს მაზრის ნაწილების სომხების მიერ კოლონიზაცია ასე. გასომხდა ლორე და ბამბაკი, ასევე გაჩნდა საკოლონიზაციო დიდი ცენტრები, როგორიც არის შულავერი და ბალეთი, რომელიც შემდეგ დალეთ-ხაჩიანათ მოინათლა და რომელმაც ასეთი აქტიური როლი ითამაშა აღბულაღის ამბოხებისა და აოხრების დროს.

1828 წელს რუსებმა ხიშტებით აჰყარეს ჯავახელი ქართველი მაჰმადიანები და მათ ალაგას აზრუმელი სომხები დაამკვიდრეს და ამ სახით ეს წმინდა ქართული პროვინცია წმინდა სომხურ პროვინციათ აქციეს.

დღევანდელი კულტურა ხომ განსაკუთრებით ქალაქურია და ერი, რომელსაც ქალაქური ცხოვრება ნაკლებ განვითარებული აქვს ან, უარეს შემთხვევაში, მოკლებულია შემაერთებელსა და ხელმძღვანელ დედა-ქალაქს, ასეთი ერი მხოლოთ მასალაა სხვათა კულტურისა. ამიტომ იყო. რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსის მთავრობა თბილისში სომხის გაძლიერებას ქართველების შესასუსტებლათ ცდილობდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარ პოლიტიკაში არც სომხის ხელმძღვანელი წრეები თამაშობდნენ პასიურ როლს.

პირიქით, მათ ასულდგმულებდა იდეა ოსმალეთის ,,საქართველოს'' და თათრების ,,გახრწნილ'' სხეულებზე დიდი სომხეთის აშენების, და ამ დიდ ოცნების ცენტრათ დასახეს არა ერივანი ან აზრუმი, არამედ ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი.

დღეს ბევრი რამ შეიცვალა, გარნა არა ჩვენდა სასარგებლოთ.

ამ ჟამათ ოსმალეთის სომხეთზე ოცნებას სამუდამოთ გამოეცალა ნიადაგი, ხოლო ყარსისა და ერევნის სომხობასაც არ ატყვია სიმტკიცე; თითქოს იგი ყოველ ჟამს გამზადებულია აყრისა ლტოლვისათვის. თუ საქართველოს საზღვრების სამხრით ძლიერი სომხეთი საუკეთესო ფარია ჩვენთვის, სამაგიეროთ ამ სომხეთის აყრა და ჩვენ საზღვრებსა შიგან დასახლება-კი დიდს ეროვნულს განსაცდელს გვიმზადებს, მით უმეტეს, თუ ანგარიშს გაუწევთ სომხის ხელმძღვანელთა ერთს უცნაურს ხასიათს.

მიუხედავათ მათის ესოდენ მედგარ და უკომპრომისო ნაციონალიზმისა—სომხის ინტელიგენციასა და მის მასაზრდოებელ ბურჟუაზიას თვისი ქვეყნისა და ხალხის ნამდვილი სიყვარული არ აღმოაჩნდა.

იმ დროსაც-კი, როცა რუსის მხედრობამ მათ მთელი დიდი სომხეთი დაუპყრო და ესოდენი ფართე ასპარეზი გაუხსნა სამოქმედოთ, ამ ხალხს სრულებითაც არ ახალისებდა არზრუმ-ერზინჯანში მოღვაწეობა.

ან და სომხის რეგულიარული ჯარი რომ ყარს-ერევნის [illegible]ბდა, სომხის ბელადებს, ინტელიგენციას არც აქეთ მოუწევდა გული და თბილისში მაგრათ ჩაკეტილები ლამობდენ აქედან ემართნათ დიდი სომხეთის ბედიც და საქართველოს საქმენიც.

ცხადია, სომხის ბურჟუაზია და ინტელიგენცია თბილისს ვან ერივანზე არ გასცვლის და როგორც პრაქტიკულ და ისტორიულ სენტიმენტალიზმს მოკლებული ხალხი, უეჭველია თვის ეროვნულ ამშენებლობას ჩრდილოეთით გადმოიტანს.

საქართველოს კულტურულ პოლიტიკური ზრდა უთბილისოთ შეუძლებელია, ამ გვარ ზრდის ხელის შესაშლელათ რუსის მართველებმა თბილისი სომხებით უკიდურესობამდე გასტენეს ამავ მართველებმა სომხებით ამოავსეს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მაზრები, როგორიც არის ლორი, ბამბაკი და ბორჩალო და ამ გვარათ საქართველოს სომხობა გადააბეს ყარს-გუმბრის სომხის მასსასთან.

მეორეს მხრით, თბილისისა და ლორე—ბამბაკის სომხობის შუა დარჩენილი მცირე მანძილი, დასახლებული ქართველთა და ქართველ-გრიგორიანთა მიერ, სომეხ ენერგიულ მუშაობის წყალობით გასომხების გზას არის დამდგარი.

ასე რომ, თუ თბილისს, როგორც კულტურულ ცენტრს, სომხების თავს უწოდებთ, ხოლო სომხის სამხრეთ მაზრეს—ტანს, მაშინ ტანსა და თავს შუა კისერიც გამობმულა, მარა ეს კისერი ჯერ ჯეროვნით სუსტია და თუ სომხის ეროვნულ საბჭოს თხოვნას ავასრულებთ და ლტოლვილებს ჩვენში დავასახლებთ, ეს იქნება ხსენებულ კისრის გამაგრება და საქართველოს ტერიტორიაზე სომხის სრული სხეულის შექმნა.

რაც შეეხება ლტოლვილთა თავის ქვეყანაში დაბრუნებასა, ან სხვაგან წასვლას, ეს ტყუილია.

გამოცდილებით ვიცით. რომ ერთხელ აყრილი და კერა მოშლილი ხალხი უკან არასოდეს არ დაბრუნებულა, მით უმეტეს თუ ისეთს ქვეყანაში დასახლებულა, რომელიც მის სამშობლოს სჯობია.

გავიხსენოთ, რომ ისეთმა ყველაფრის შემძლებელმა, როგორიც იყო მინისტრი ფონ-პლევე, იმანაც კი ვერ დასძრა ადგილიდან სოხუმისა და სოჭის მაზრებში ,,დროებით დასახლებული'' სომხები.

არც ერთს მაზრასთან თბილისი ისე მჭიდროთ არ არის გადაბმული, როგორც ბორჩალოს მაზრასთან.

მაშასადამე ამ მაზრის სრული გასომხება ნიშნავს თბილისის სრულ გასომხებასაც. ამით აიხსნება ის თავგამოდებული კოლონიზაცია ამ მაზრისა, რომელსაც ასე ფიცხლათ ეწევიან სომხის ხელმძღვანელები.

დღეს, როგორც ისმის, ბორჩალოს

---

# ფელეტონი

## სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის
რიხტერის კრიტიკა

თავი VI.

### სამუშაოს დანიშვნა.

ფრანცისა და აგნესას ჯვრის წერა დიდის ხნით გადაიდო. მილიციას დაჰქონდა ბრძანება, რომ სამუშაოზე უნდა გამოცხადდენ თანხმად არჩეულ ხელობისა და მთავრობის მიერ დადგენილ საორგანიზაციო გეგმისა წარმოებისა და მოხმარებისათვის.

ფრანცი ასოთ-ამწყობად დანიშნეს, თუმცა დედა-ქალაქში კი არა, პროვინციაში. ბერლინს ეხლა უწინდელ ასოთამწყობთა მეოცედიც აღარ ეჭირვებოდა. მთავრობის მოამბისათვის დანიშნეს მხოლოდ ნამდვილად საიმედო სოციალ-დემოკრატები; ფრანცი კი როგორღაც ეჭვს იწვევს იმიტომ, რომ იმ უბედურ შემნახველ კასების საკითხის გარჩევის დღეს რამდენიმე სიტყვა წამოსცდა სახალხო მოედანზე. ფრანცის ფიქრით, საერთოდ მუშაობის განაწილების დროს, მთავრობა პოლიტიკური მოსაზრებით მოქმედებს „ახალგაზრდათა“ პარტია სრულიად გაფანტულია.

ერთი ამხანაგთაგანი გაგზავნეს მიყრუებულ პროვინციაში, მაღაროდ, იქ ვითომ საკმაო მაღაროები არ არიან, ხოლო აქ კი ბევრიაო. ამგვარად ბრუნდება ძველი კანონები გადასახლებისა და გაძევების წესით.

ვცდილობდი დამემშვიდებია ფრანცი იმით, რომ მეზობლისას ცოლ-ქმარიც კი გაჰყარეს ერთმანეთს. ცოლი ავადმყოფის მომვლელად გააგზავნეს ერთ ქალაქში, ქმარი—ბუხჰალტერად დანიშნეს მეორე ქალაქში, როგორ გაჰბედვენ ცოლქმრის გაყრას, ეს ხომ ნამდვილი უსინდისობაა!—წამოიძახა ჩემმა ცოლმა. ჩემს ბებრუხანას დაავიწყდა, რომ ცოლქმრობა ჩვენს ახალს დროში მხოლოდ კერძო საქმეა, როგორც ამას ბებელი ამბობს თავის წიგნში. ქორწინება და განქორწინება შესაძლებელია ყოველ დროს თანამდებობის პირთა დაუკითხავად. ამგვარად მთავრობას არ შეუძლიან იცოდეს ვინ არის და ვინ არა ჯვარდაწერილი. ამიტომ საადრესო სიაში ყველა თავის სახელითა და დედის გვარით იწერება. ცოლქმართა ერთად ცხოვრება წარმოების და მოხმარების წესიერ ორგანიზაციის დროს უნდა შეთანხმებული იყოს მუშაობის ადგილთან და არა პირიქით, ვინაიდან სამუშაო ორგანიზაცია ანგარიშს არ უწევს კერძო დამოკიდებულებას, რომელიც შესაძლებელია ყოველ დროს დაირღვეს.

ჩემის ცოლის აზრით კი, უწინდელ ბიუროკრატიულ სახელმწიფოს დროს უმაღლესი ინსტანცია განსაკუთრებულ გარემოების გამო ხშირად შესცვლიდა ხოლმე რამე დადგენილებას.—ეს მართალია. მივდივარ ქალაქის საბჭოში. მომაგონდა, რომ ერთ ჩემ ძველ მეგობარს და ამხანაგს, რომელსაც ძველი კანონის მოქმედების დროს ციხეში გავეცანი, ეხლა დიდი ადგილი უკავია ქალაქის სამრეწველო გამგეობაში. ამ ნაწილის შენობას ათობით ხალხი ეხვია, ისინიც ჩემსავით გულდაწყვეტილნი... ტალანში მეორე ამხანაგს შევხვდი, რომელიც იმავე სამრეწველო გამგეობაში მსახურებდა. იმას ვუამბე ყველაფერი, რაც გულში მქონდა. მირჩია, შემდეგში ეცადე როგორმე ქალაქში გადმოიყვანონ ფრანცი, როცა გადაავიწყდებათ შემნახველ კასების გამო მომხდარ არეულობაში მისი მონაწილეობაო.

ამასთანავე შევჩივლე იმაზე, რომ თუმცა კი მიმიღეს წიგნების მკაზმავად, მაგრამ არა ისე, როგორც წინად მიწოდებდნენ ოსტატად, არამედ შეგირდათ.—სხვაფრივ არ შეძლებოდაო მიპასუხა მან. სამრეწველოებში მსხვილ წარმოებათა გაფართოვების გამო ოსტატები უფრო ნაკლები სჭირიათ ვიდრე წინადო.

ჩემი ცოლი დანიშნეს ავათ ყოფის მომვლელ ქალად, მაგრამ არა იქ, სადაც ჩვენი პატარა ქალი იზრდება. ამბობენ პრინციპიალურად იქ არა ნიშნავენ ქალებს, სადაც საკუთარი შვილები ჰყავთ, რათა დედებმა მეტი ყურადღება არ მიაქციონ თავიანთ შვილებს და ამით სხვა დედების იჭვიანობა არ გამოიწვიონო. ეს სამართლიანია, მაგრამ ჩემ ცოლს გაუძნელდება ამის შესრულება. ქალებს არ უყვართ სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკუთარის სურვილი დათმობა.

ჩემი რძალი დანიშნეს არა „მოდის ტკად“, არამედ თეთრეულის მკერავად. საზოგადოებას ნაკლებად ესაჭიროება მოდის საქონელიო, ამბობენ. წარმოების ახალი გეგმ მხოლოდ მასის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდესო. ამიტომ განსაკუთრებული მხატვრული გემოვნება, საზოგადოთ ყველაფერი, რაც მხატვრულ ხელობას უახლოვდება, ძალიან ნაკლებად ესაჭიროები სახელმწიფოს. აგნესამ სთქვა, რომ მისთვის სულ ერთია რაღაც გახდება, თუ იგი ფრანცთან არ იქნება.

შვილებო, ვუპასუხე მე,—დაფიქრდით, რომ ღმერთსაც კი არ ძალუძს ყველას აამოს. მაშ ყველას ნება უნდა ჰქონდეს თავის თავზე თვითონ იზრუნოს. ასე ცუდათ ჩვენ უწინდელ საზოგადოებაშიც არ ვიქნებოდითო,—გამაწყვეტინა ფრანცმა.

მათს დასამშვიდებლად წავიკითხე გაზეთი, რომელშიაც მთავრობა აქვეყნებდა განცხადებათა მიმოხილვას ხელობის არჩევისა და სამუშაოზე დანიშვნის შესახებ. მონადირედ გამოცხადებულ პირთა რიცხვი ათჯერ მეტი იყო, ვიდრე კურდღელი ქალაქის გარშემო. ყველას სურვილი რომ აღესრულებინა მთავრობას, ყოველ კართან შვეიცარი უნდა დაეყენებინა, ყოველ ხესთან ტყის მცველი, ყოველ ცხენისათვის მეჯინიბე მიეჩინა. გამდლები უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჭურჭლის მრეცხველნი, ქუჩრები გაცილებით მეტი ვიდრე მეჯინიბე. აუარებელი განცხადება იყო კელნერშებისა და მომღერალი ქალთაგან, ხოლო ძალიან ცოტა ავათმყოფის მომვლელთაგან. გამყიდველ ქალთა და კაცთაგან დიდძალი განცხადება იყო. უმაგალითო რიცხვი ზედამხედველებისა, კონტროლერებისა, ინსპექტორებისა, ერთი სიტყვით ადმინისტრატიულ მოხელეთაგან. არ აკლდენენ აკრობატები, მაგრამ განცხადება ქვაფენილის მძიმე სამუშაოსი, ფეჩის მახურებლებისა, საერთოდ ცეცხლთან მომუშავეთა ძალიან ნაკლებია. კიდევ უფრო ნაკლები იყო კანალიზაციის მწმენდელთა მოყვარულის რიცხვი. როგორ უნდა მოქცეულიყო მთავრობა, რომ წარმოებისა და მოხმარების საორგანიზაციო გეგმა შეეთანხმებინა ამ განცხადებისათვის? უნდა ცდილიყო თუ არა გაეთანასწორებინა ხელობათა მაძიებელნი ხელფასის საშუალებით. ნაკლები მიეცა იმ პროფესიის ხალხისთვის, რომლის მსურველი დიდძალი იყო, მეტი—იმ პროფესიის ხალხისთვის, რომლის მსურველი ნაკლები სჩანდა? ეს წინააღმდეგი იქნებოდა სოციალისტურ კანონის საფუძვლებისა. ყოველ სამუშაო, საზოგადოებისათვის სასარგებლოს, როგორც მღდამ სწერდა ბებელი, ერთნაირი ფასი აქვს. დიდი ხელფასი დიდ უთანასწორებას გამოიწვევდა ცხოვრებით სარგებლობაში ან და დიდი ხელფასის აღება საშუალებას მისცემდა მეტი ფული შეენახა, რაც უჩინრად ხელ ახლა შექმნიდა კაპიტალისტთა კლასს და ამგვარად დაშლიდა მთელს სოციალისტურ სისტემის წარმოებისას ან იქნება უკეთესი იქნებოდა, თანასწორობა სამუშაო დროის მეტ-ნაკლებობის საზომით შემოეღოთ? მაშინ ხომ დაირღვეოდა ბუნებრივი კავშირი სხვა და სხვა სამუშაო დარგისა. მოთხოვნილებისა და წინადადების თამაში, რომელიც წინანდელ კაპიტალისტურ მეურნეობის დროს სუფევდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ახალ წესწყობილებაში.

მთავრობას უფლება აქვს მძიმე სამუშაო მიანდოს დასასჯელ დამნაშავეთ და აზრათ აქვს, როგორც ბებელი ურჩევდა, ხშირად გამოცვალოს მუშაობა. შესაძლებელია, ერთმა და იმავე მუშამ დღეში რამდენიმე სხვა და სხვა საქმეზე იმუშაოს.

ამ შემთხვევაში სისწორით გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ კენჭის ყრით. ამიტომ ყველა ერთგვარ ხელობის კანდიდატებს წინადადება მიეცათ კენჭი ამოეღოთ. ამგვარად მიიღეს მთავრობის საორგანიზაციო გეგმის რიცხვი ხელოსნების. რომელთაც კენჭი არ ამოეღოთ, დანიშნული იყვნენ იმ სამუშაოზე, რომლის მსურველიც საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა. ამასთანავე, ამბობენ, ბევრს ისეთი კენჭი ერგო, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა მათს სურვილსო.

ფრანცმა შენიშნა, რომ ლატარია ცხენებსა და ძაღლებზე ყოველთვის იყო, მაგრამ ეხლა პირველად არიან ლატარიაში ჩაყენებულნი ადამიანებიო. [illegible] დასაწყისშივე [illegible] აღმოჩნდა გონება, რომ კენჭს მიჰყავს.

ხოლო ხელოვნად, ვუპასუხე მე, რომ მომავალ დროში ყველაფერი ხელახლად უნდა მოეწყოს. ჩვენ კიდევ [illegible] ექსპლოატაციის სისტემისა და კაპიტალის ბატონობის [illegible] როდესაც სოციალ დემოკრატიული შეგნება სავსებით განმტკიცდება, სწორედ მაშინ [illegible] მოხალისე მსურველი გამოჩნდება მძიმე, [illegible] სამუშაოსათვის, იმიტომ რომ მათ გაამხნევებს იმის შეგნება, რომ ისინი ექსპლოატატორების გაუმაძღრობას კი არ ემსახურებიან, როგორც წინად, იყო არამედ ხელს უწყობენ საერთო კეთილდღეობას.

მაგრამ ახალგაზრდები მაინცა და მაინც არ დარწმუნდნენ ჩემი სიტყვებით.

(შემდეგი იქნება)

მაზრის თათრობა, ნამეტნავათ ლორისა, თრიალეთისა და წალკისა იყრება და ოსმალეთში მიდის.

ჩვენთვის სულ ერთი არ არის რა ელემენტით დასახლდება თათრებისაგან განთავისუფლებული ალაგები: იმ გვარით, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ეროვნულს მტოქეს, რომელსაც განუზრახავს ჩვენს ლეშზე სიცოცხლე, თუ ისეთ ნეიტრალ ელემენტით, როგორიც არის მართლმადიდებელი ბერძნობა და აისორობა, რომელსაც ყოველ შემთხვევაში არავითარი პოლიტიკური პერსპექტივები არა აქვს ჩვენს ტერიტორიაზე.

სომხის მებაირახტრეებმა ქართველი გრიგორიანები შიდა-ქართლშიაც კი გასომხეს და ამით ძმა-ძმას გასთიშეს პსიხოლოგიურათა და პოლიტიკურათ. გვგონება ორი სხვა და სხვა ხალხი სცხოვრობსო, ერთი მეორის მტოქე.

კულავ სომხის ელემენტის გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში თუ რა ხეირს დაგვაყრის — ეს ყოველმა ჭკუათა მყოფელმა განსაჯოს.

ხომ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ორიენტაცია ერთმანეთს არ ეგუება, ხომ ჩვენი თვალით ვნახილეთ საშინელი ძულვა და ბრძოლა მათი ჩვენს დამოუკიდებლობასთან.

ახლა რომ დაშნაკები თავს იკატუნებენ, ეს გახლავთ მხოლოთ ჯარის გადაჯგუფების დროს სიწყნარე და დროის მოგება.

როგორ გვგონიათ, ისტორიის ჩარხი რომ დროებით მაინც არა ჩვენ სასარგებლოთ გადატრიალდეს, ამ 500—600 ათას სომხის „ლტოლვილთ" ჩვენს დედა-ქალაქსა და მის მიდამოებში სენტიმენტალობა გააჩერებს ჩვენი აქიდან გაძევებისათვის?!

თუ სომეხ ლტოლვილებს მთავრობამ ნება დართო კონცენტრაციულ ბანაკები დასტოვონ და სოფლად ჩასახლდნენ, — მაშინ საქართველო დღეს თუ არა ხვალ სასომხეთად გამოცხადდება.

ესმის თუ არა ეს ბ-ნ ნოე ჟორდანიას, ბ-ნ ნოე რამიშვილს და ბ-ნ ნოე ხომერიკს.

*ვ. ცისკარელი*

## „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" ისტორიიდან.

### II.*) გერმანიის ორიენტაციის მიღება.

ქართული ეროვნული ჯგუფი დაარსდა ჟენევაში საერთაშორისო ომის დაწყებამდე ოთხი წლის წინათ და მაშინვე წარმოიშვა ბეჭდვითი ორგანოს დაარსების იდეა. ამ იდეის განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ: ლეო კერესელიძე, პეტრე სურგულაძე, გიორგი კერესელიძე და მე, მთელი ჯგუფის თანხმობით. ბევრი ცდის შემდეგ შევძელით პერიოდულ ჟურნალის, სახელად „თავისუფალი საქართველო"-ს გამოცემა, ცნობილი მოღვაწის მიხაკო წერეთლის თანამშრომლობით, რომელიც იმყოფებოდა იმ დროს გერმანიაში. ზემოხსენებულ ჟურნალს დასახული ჰქონდა მიზნათ საქართველოს განთავისუფლების და კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკური აღორძინების იდეის გავრცელება. ჟურნალთანავე დაარსდა ქართული ბიბლიოთეკა. ამ ორგანოს გარშემო შემოიკრიბა მთელი ჩვენი ჯგუფი და შეუდგა ინტენსიურ მუშაობას. ჟურნალი იგზავნებოდა ევროპის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც კი ქართველები ვგულებოდა, და რამდენათაც გარემოება ხელს გვიწყობდა — რუსეთსა და საქართველოშიც; რუსეთისა და ევროპის ქალაქებში მყოფი სტუდენტობის ერთი ნაწილი დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ ორგანოს, აღფრთოვანებულ წერილებს გვიგზავნიდნენ, რათა გაგვეგრძელებინა მუშაობა ამ გზით.

ჩვენი ჯგუფის დაარსებისთანავე ჩვენ შევიტყვეთ, რომ საქართველოშიც შესდგა ამგვარივე ჯგუფი იმავე იდეების მატარებელი, რამაც უფრო მეტათ გაამხნევა ჩვენი ორგანიზაცია. გადავსწყვიტეთ საერთო მუშაობის პროგრამის შემუშავებლათ მოგვეწვია კონფერენცია, მაგრამ ამ დროს დაიწყო საერთაშორისო ომი, რისგამოც კონფერენციის მოწვევა ვეღარ მოვახერხეთ.

ომის დაწყებიდანვე ჩვენ მოვწყდით ჩვენს სამშობლოს და შეუძლებელი გახდა რაიმე კავშირის დაჭერა ჩვენს თანამოაზრეებთან. ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ მუშაობა არ შეგვეჩერებინა და გადავდგა შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯი ჩვენის პირადი პასუხისმგებლობით.

ბევრი ბჭობის შემდეგ ჩვენმა ჯგუფმა მიიღო ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ლეო კერესელიძის წინადადება:

ჩვენ უნდა მივმართოთ გერმანიის მთავრობისათვის წინადადებით, რომ მას ხელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის და მხარი დაეჭირა მისთვის, როგორც ომის განმავლობაში, ისე საერთაშორისო კონფერენციაზე, სამაგიეროთ ჩვენ უნდა მიგვეღო გერმანიის ორიენტაცია.

ამ წინადადების სისრულეში მოსაყვანათ, კომიტეტმა გაგზავნა ლეო კერესელიძე გერმანიის ელჩთან მოსალაპარაკებლათ.

ელჩმა მოუსმინა წინადადება და უპასუხა, რომ ვიდრე არ გამოირკვევს დელეგატის პიროვნებას, მანამდე მას არ შეუძლიან ასეთ რთულ საკითხზე მასთან მოლაპარაკება და მოსთხოვა რამდენიმე ხნით ამ საკითხის გადადება.

ამ დროს გერმანიიდან ჩამოვიდა სოციალისტ-პატრიოტი, აწ განსვენებული პავლე კალანდაძე, რომელსაც თავისთავათვე დაბადებოდა იგივე აზრი, და მოკლე მოლაპარაკების შემდეგ დაიწყო ჩვენთან მუშაობა. ამ გარემოებამ ჩვენ მეტად გაგვამხნევა, რადგანაც იმედი მოგვეცა, რომ სოციალისტთა შორისაც ვიპოვიდით თანამოაზრეებს.

ცოტა ხნის შემდეგ ელჩმა მიიწვია ლ. კერესელიძე თავისთან და გამოუცხადა, რომ მას უკვე ყოველივე ცნობები შეკრებილი აქვს და მთავრობას ნება დაურთავს მისთვის მოლაპარაკების დაწყებისა.

მოლაპარაკების შემდეგ გერმანიამ მიიღო ჩვენი წინადადება.

გადასწყდა, რომ ჩვენ ოსმალეთთანაც, როგორც ჩვენ მეზობელ სახელმწიფოსთან, დაგვეწყო ამ საგანზე მოლაპარაკება... ამაზე შემდეგ,

*ნესტორ მაღლაკელიძე.*

*) იხ. წინა წერილი „ქართულ ლეგიონის შესახებ" (კლდე № 4).

## საინგილოს გასაჭირი.

ზაქათლის ოლქში მცხოვრებნი ნუხელი თათრები და მულალები, ნაშთნი მონგოლებისა, არ სცხრებიან: კვლავ განაგრძობენ მკვიდრ ქართველების დევნას და აწიოკებას. სტაცებენ საქონელს, პურს, ბრინჯს, ჰკლავენ მეჯაურ-ინგილოებს, შეუკრეს საზღვრები და ნებას არ აძლევენ გარეშე ადგილებში წასვლისას, ნამეტურ კახეთში. იჭერენ და სპობენ მათ სახელზედ მასულ წერილებს და გაზეთებს, და ცოდვის შესავსებათ-ქრისტიან ინგილოებს (არიან გარეგნულად მაჰმადიანებიც) აზრალებენ რჯულის გამოცვლას.

სოფელს ქოთუქლოსა და ალიბეგლოს რამდენიმე დღის თავდასხმის შემდეგ რამდენიმე ასმა შეიარაღებულმა კაცმა ძალით წასტაცა რამდენიმე ასი მსხვილ ფეხი საქონელი, ათობით წართმეულს სხვა და სხვა სოფლებიდან კი ვინ მოსთვლის! სამ სოფელს ცეცხლითა და მახვილით შეაცვლევინეს რჯული, ორხს სოფელში გაძარცვეს და შებილწეს ეკლესიები: მოხსნეს კარ-ფანჯარები, ხომლები, ზარები, ხოლო ჯვრები გადისროლეს ჭაობებში. თვით ზაქათლის მღვდელი ბეს. ფუტკრაძე სამი დღე ჰყავდათ დაჭერილი, ვიდრე მისს ეკლესიას ზაქათლაში მეჩეთად გადააკეთებდენ.

ამ დღეებში ორი დიდი სოფლისათვის=კაკისა (550 კვამლი) და ალიბეგლოსათვის (200 კვამლი) სამი კვირის ვადა მიუციათ: ან რჯული გამოიცვალონ, ან აიყარონ და გადასახლდენ თბილისის გუბერნიაში.

ასე დევნიან და აწიოკებენ ახლა თავისუფალ საქართველოს შვილებს გუშინ მოსულნი ნუხელი თათრები და მულალები კაკ-ენისელისიმ (ეხლანდელი საინგილო) მკვიდრ ქართველებს, რომლებსაც, მათი სამშობლოს უარეს დღეებში, ვერაფერი დააკლო ლანგ-თემურმა, მურვ ყრუმ, შაჰაბასმა და შამილმაც კი...

მივაქცევთ ამ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებაზე ჩვენი მმართებლობის ყურადღებას, რომელსაც მზადა ვარ მოვახსენო ყოველივე წვლილი საინგილოს საშინელებისა.

*ზ. ჭიჭინაძე*

## ქართული პრესა.

### „საქართველოს" აგრარულ პროექტებზე.

გაზეთი „შრომა" შემდეგ წერილს უძღვნის გაზეთ „საქართველოს" შეთაურის აზრებს აგრარულ საკითხზე.

სხვადასხვა ობიექტიური პირობების გამო ჩვენი რესპუბლიკა დიდ ფინანსიურ კრიზისს განიცდის. ასეთ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ კაპიტალისტთა ჯგუფი, რომელიც თავს იყრის გაზეთ „საქართველოს" გარშემო, ფართო ფინანსიურ დახმარებას გაუწევდა ხორცს რესპუბლიკას და მით ხელს შეუწყობდა სამშობლოს განმტკიცების საქმეს, მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენი კაპიტალისტები და მათი იდეოლოგები მხოლოდ სიტყვით მამულიშვილობენ, საქმით კი სხვის ხარჯზე ცხოვრებას დაჩვეულთ, მათ სურთ სახელმწიფოც სხვის ხარჯზე განამტკიცონ. მხოლოდ ასეთ „მსხვერპლს" გაიღებენ ისინი სამშობლოს საკეთილდღეოთ. თუ სახელმწიფო ფინანსიურ კრიზისს განიცდის, არა უშავს, მიწები გავყიდოთ, ხაზინაში ფულს გლეხები შემოიტანენო, ასე ფიქრობს ქართველ კაპიტალისტთა ორგანო „საქართველო"...

...ამ გვარად მიწები გლეხებს მივყიდოთ და ხაზინაც ფულებით ავავსებთო, მარა მიწა ხომ უდიდესი სიმდიდრეა და განა „სახელმწიფოებრივი პარტია" ვალდებული არ არის სახელმწიფოს ურჩიოს ამ სიმდიდრეს მაგრად ხელი ჩასჭიდოს და მას ისე მოუაროს, რომ შთამომავლობამ ბრალი არ დასდოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაუდევრობაში და უდიდესი ქონების ისვის მეჯამანდზე განიავებაში?!

უდიდესი ნაწილი იმ ფულების, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ გამოსცა, სპეკულიაციით და სხვადასხვა ხრიკებით და ხელსაყრელ კომბინაცია „პოდრადებით" ხელში ჩაიგდეს სწორედ იმ კაპიტალისტებმა, რომელთა ინტერესების გამომხატველი გაზეთი „საქართველო"-ა.

ეს მილიონები უნდა დაუბრუნდეს ხაზინას. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, მარა „საქართველო" ამას როგორ მოიმეტებს? ის სახელმწიფოს ურჩევს: გაკოტრებულის გზას დაადექი, შენი უდიდესი სიმდიდრე და ერის ავლადიდება აუქციონში გაყიდეო!

ასე ესმის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას სახელმწიფოს და ერის ინტერესები. ის ერთგულია თავის ძველი ტრადიციების და სახელმწიფოს ქონებისადმი თავის დამოკიდებულებაში დირსეულად იტავს თავის ლოზუნგს:

„Распивочно и на выносъ"!

—

ის მოდერნისტული წერილი, რომელზედაც „შრომა" სწერდა, ბ. გ. ქიქოძეს ეკუთვნოდა; ამის შემდეგ, ალბად შელახულ პროგრამის მალამოს მოცხებისათვის, დაიბეჭდა საწინააღმდეგო წერილი ბ-ნ ალ. ასათიანისა, რომელზედაც გაზეთი „ერთობა" ასე სწერს:

„ამბობენ, ნაციონალ-დემოკრატები ორ ფრთათ გაიყვნენ: ერთნი ვაჭართა იდეოლოგები არიან, მეორენი მემამულეებისა. ერთი შეხედვით კაცს მართლა ასე ეგონებოდა მაგრამ არსებითად გაყოფა პარტიის კიდევ არ ნიშნავს მათ კონსოლიდაციას, ცალ-ცალკე სოციალურ ჯგუფთა წარმომადგენლებით ჩამოყალიბებას, ძველი ცოდვები და ტრადიციები ორივეს აწევს თავზე, ორივენი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ წრეების მოპირებას, რომლებზედაც აქამდე ეყრდნობოდენ.

საქართველოს ერ. დემოკრატები ამ ჟამად დამოუკიდებლებს ედავებიან თავადების გულის მოგებაში. გ. ვეშაპელს შეუძლია შურისძიებით წაიკითხოს შემდეგი სტრიქონები ა. ასათიანისა:

„სახელმწიფომ სასწიდელი უნდა გაიღოს ჩამორთმეულ მიწებში, არა მარტო იმიტომ, რომ არ დასაჯოს მთელი საზოგადოებრივი წრე, არამედ იმიტომ უფრო, რომ ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესებიო".

## გერმანული პრესა.

### ბ. ბაგრატიონის და სხვა დატუსაღებულ მემამულეთა შესახებ.

როგორც მკითხველებმა იციან, შინაგან საქმეთა სამინისტრო აბრალებს დატუსაღებულ გ. ბაგრატიონ—დავითაშვილს და 6 სხვა მემამულეს, შეიარაღებულ „შავი რაზმის" მოწყობას ღალის მოსაკრებად და ზარალის ასანაზღაურებლად ქართლის მამულებში. თბილისში კიდევ სხვა ხმები დადიოდა, რომ დატუსაღებულებს უნდოდათ გერმანელებისათვის მიეყიდნათ კანონიერად მათი კუთვნილი მოსავალი 1917 წლისა.

ახლა გაზეთი „Kaukas Post" ეხება ამავე საკითხს და ასე სწერს:

„ჩვენი ინფორმაციით არავითარ „შავი რაზმის" შედგენაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ შეიძლება.

დატუსაღებულ მემამულეთაგან არჩეული გზა შეიძლება სავსებით არ ეთანხმებოდა არსებულ სავალდებულო წესებს, მაგრამ არა ახალ ანარქიას, არამედ მხოლოდ თავის ქონებას ეძებდნენ მემამულენი, იმ ქონებას, რომელიც მათ ეკუთვნით კანონის უფლებით.

თუ არჩეული გზა გაუგებრობაზედ იყო აშენებული, ამ გაუგებრობაში უოველ შემთხვევაში მემამულეთ კი არ ედებათ ბრალი.

აქ იყო მეტის მეტი დაჯერება და მინდობა იმ მესამე პირებზე, რომელთა რჩევას უოველ შემთხვევაში პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ".

## პატარა ფელეტონი

### აქა ამბავი დარბაზისა, რომელსა შიგან ჩაქჩაქებს ცხენი.

„საქართველოს დარბაზის" დარბაისელმა, — როგორც ეწოდებოდა ბ-ნ ალექსანდრე ლომთათიძეს, თუ ვინიცობაა ს. ბ-ო მიიღებდა აღნიშნულ სახელწოდებას, — მკაფიოდ განაცხადა: „დარბაზი არის ცხენების თავლაო".

დარბაზში არც ერთი ცხენი არ ყოფილა და ყველამ გულიანად გადიხარხარა.

მაგრამ ბ-ნ ალექსანდრეს ალბად დიდი სეხნიის, — ალექსანდრე მაკედონელის სიყვარული ცხენისადმი დიდი ჰქონია და წარმოსთქვა: „თუ არ ამამენ ცხენებს, — ხალხში ასე მაინც ამბობენო".

რასაკვირველია, ხალხში ამას არავინ ამბობს და ბ-ნი ალექსანდრე შეცდომაში შეუყვანია ენისა და ხალხის უცოდინარობას.

„ხალხი იბრძოდა და ესმის რა არის „პარლამენტი" და მეფეთაგან მოგონებული დარბაზი კი ვერაფერ სიამოვნებას მოჰგვრისო"; „სთქვა რუქამ არაკიო", იტყოდა საბა-სულხან-ორბელიანი.

მაგრამ პარლამენტიც ისევე იყო მეფეთაგან შემოღებული როგორც დარბაზი, რომელშიაც ალ. ლომთათიძე მჭერ მეტყველებდა.

მე დარწმუნებული ვარ ლომთათიძეს ისე სძულს სახელიც კი „მეფე", რომ გაიგებს თუ არა, მაგალითად, თეიმურაზ მეფეს თვალები ჰქონდაო, მაშინვე ორ, თავეს დაითხრის.

მაგრამ საქმე თუმცა გართულდა, თუმცა ათასი სახელი მოუგონეს ეროვნულ საბჭოს — ვიღამაც ისიც კი დაიძახა — „ნოეს კიდობანი" დავ რქვათო და სხვა, — ბ-მა ლომთათიძემ რამდენიმე ორატორის შემდეგაც ვერ გამოიყვანა დარბაზიდან თავისი ცხენი: „ქართლში ასე ამბობენო" უპასუხა ქართლელ გაბაშვილს; „იმერეთში ასეაო" — უთხრა იმერელ საყვარელიძეს და კიდევ კარგი ქიზიყელი არავინ ასულა კათედრაზედ, თორემ ალექსანდრე ყიზიყურ დარბაზშიაც შეაგდებდა ბუცეფალსა.

და რადგან ვერავინ დაარწმუნა ბ-ნი ალექსანდრე, რომ დარბაზში ცხენები არ შეჰყავთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დარბაზში, რომელიც ლომთათიძეს უნახავს — ეკიდა სარკე.

*რ. ფ.*

## ქრონიკა

დამ. ნაც.-დემ. მთავარ კომიტეტის კრება შესდგება დღეს რედაქციაში საღამოს 8 საათზე.

შეკითხვა 30 მილიონის ფონდის ხარჯვის შესახებ შეიტანა პარლამენტში დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციამ.

მცხეთობა. ხვალ 14 ოქტომბერს მცხეთობაა. დანიშნულია 7 წყვილი დამატებითი მატარებელი თბილისიდან მცხეთამდე.

რუსეთის ცრუ ელჩი. საქართველოს მთავრობამ მოსკოვიდან ცნობა მიიღო, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობას არ მიუნდვია ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოსა და მის თავმჯდომარის დებედევისთვის საბჭოთა მთავრობის სახელით ილაპარაკოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ, საქართველოს მთავრობასთან. ამიტომ საქართველოს მთავრობა არ სცნობს რუსთა ეროვნულ საბჭოს და მის თავმჯდომარეს საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელად.

ეკლესია და რესპუბლიკა. მიტროპოლიტმა ლეონიდმა მთავრობის თავმჯდომარეს აცნობა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლენი წირვის დროს რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის დღეგრძელობას იხსენიებენ ეკლესიებშიო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისას კი არაო. მთავრობის თავმჯდომარეს სთხოვს მიტროპოლიტი სავალდებულო გახადოს არა-ქართველთათვის ჩვენი მთავრობის მოხსენება. მთავრობის თავმჯდომარემ ეს თხოვნა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრს დასასკვნელად.

ქართველ ისრაელთა საბჭო. თბილისის ეროვნულმა საბჭომ, თბილისის ყველა ებრაელთა [illegible], რომელთა შორის არიან როგორც ქართველნი, ისე ევროპიელი ებრაელნი, განიხილა რა შეკითხვა, შესახებ წარმომადგენლების დანაწილებისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში, განაცხადა, რომ ყველა ებრაელები წარმოადგენენ განუყოფელ ნაწილს მსოფლიო ებრაელთა ერისას.

ოსების თავგასულობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მთიელ ხალხთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ა. მ. ჩერმოევმა აცნობა, რომ ს. კობის მახლობლად მოსახლე ოსები თავს ესხმიან და ხშირად ხოცავენ ტფილისში მომავალ ინგუშებს. ვინაიდან ყველა ეს ინგუშები მთავრობის მიერ არიან გამომგზავრებულნი საქართველოს რესპუბლიკისთვის პურის მოსაწოდებლად. თავმჯდომარე სთხოვს სამინისტროს შესაფერი განკარგულება მოახდინოს მათ ასალაგმავათ.

პარტიული ადმინისტრაცია. შინაგან საქმეთა მინისტრს გუბერნიის კომისარი სთხოვს განუმარტოს, შესაძლებელია თუ არა პარტიულ ორგანიზაციათა განკარგულებების მოხდენა მისდამი ხელქვეით ადმინისტრაციის თანამდებობის მქონე პირებზე, ან ეს პარტიული ორგანიზაციები პასუხს აგებენ ბოლოს მათ მოქმედებაზე თუ არა.

პოეტების გაზეთი. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტფილისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი პოეტებისა. გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, გ. ლეონიძე, ალი არსენიშვილი, ტრ. მიქაძე, კ. ნადირაძე, ნ. მიწიშვილი და სხ.

წიგნი სიათნოვაზე. ი. გრიშაშვილის ცნობილი გამოკვლევა „საიათნოვა და ძველი ტფილისი" უკვე იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა.

რაჭული ლექსები. რედაქციამ მიიღო ე. დვალის მიერ შედგენილი კრებული რაჭულ-ლექსებისა. ფასი 1 მანეთი.

ქართული კინემატოგრაფი. გერმანე გოგიტიძემ უკვე დაასრულა „ქრისტინეს" კინემატოგრაფიული ლენტი. პიესა პირველათ თფილისის კინემატოგრაფებში წავა.

## ჯარი და პოლიტიკა.

ერთობა იტყობინება დღეს, კვირას, საღამოს ხუთ საათზე სასახლეში სოც.-დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციის ოთახში დანიშნულია კრება ბბ. აფიცრებისა ფრიად საჭირბოროტო საკითხთა გასარჩევად. კრებაზე დასწრება შეუძლიათ და სავალდებულოც არის იმ აფიცრებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მანდატებს სოც. დემ., სოც.-ფედ. და სოც. რევ. პარტიის წევრობისასაო.

ამას წინად პარლამენტმა დააკანონა, რომ ჯარი პოლიტიკის გარეშე სდგასო. ეს შეეხება როგორც ჯარისკაცებს ისე აფიცრებს, მაშ რას ნიშნავს ზემოხსენებული კრება ოფიცრებისა სოც.-დემოკრ. სოც.-ფედ. და სოც.-რევოლიოც. პარტიისა სასახლეში, რას ფიქრობს ამაზე სამხედრო მინისტრი?

## საქართველოს საბაჟოები.

ახლათ მოწყობილ საბაჟოს შემოსავალი ამ უკანასკნელ ხანებში ასეთია: თბილისის საბაჟოში შემოვიდა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | სექტემბრამდე | 120,452 | მ. | 98 | კ. |
| 7 | „ | 33,317 | „ | 89 | „ |
| 9 | „ | 42,112 | „ | 30 | „ |
| 10 | „ | 31,096 | „ | 44 | „ |
| 12 | „ | 25,603 | „ | 91 | „ |
| 13 | „ | 13,255 | „ | 53 | „ |
| 14 | „ | 23,572 | „ | 72 | „ |
| 16 | „ | 32,661 | „ | 14 | „ |
| 17 | „ | 130,807 | „ | 40 | „ |
| 18 | „ | 80,865 | „ | 90 | „ |
| 19 | „ | 15,554 | „ | 9 | „ |
| 20 | „ | 108,518 | „ | 21 | „ |
| 23 | „ | 71,953 | „ | 16 | „ |
| 24 | „ | 100,700 | „ | 37 | „ |
| 25 | „ | 87,645 | „ | 72 | „ |

მხოლოდ 11 ივლისიდან 16 სექტემბრამდე 1,013,367 მან. 42 კ.

ფოთის საბაჟოში 8 აგვისტოდან 23 აგვისტომდე შემოვიდა 53, 862 მ. 91 კ.

## პრ. ლისტი საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

გამოჩენილმა ბერლინელმა პროფესორმა ფრანც ფონ ლისტმა, რომელიც ევროპაში უდიდეს მეცნიერულ ავტორიტეტად არის მიღებული, ორი თვის წინად ცალკე ბროშურა გამოაქვეყნა ამ სათაურით: „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა‘‘. ამ ბროშურის დასკვნა თვით ლისტს სამს დებულებაში აქვს გამოთქმული.

1) საქართველო დღეს კიდეც სრულიად თვითმდგომი და დამოუკიდებელი, მაშასადამე, სუვერენული სახელმწიფოა და მას საერთაშორისო უფლება აქვს მოითხოვოს, რომ დანარჩენ სახელმწიფოების მიერ ცნობილ იქმნას.

2) საქართველოს რესპუბლიკა de facto (ფაქტიურად) გერმანიის ამპერიისა და მისი მოკავშირეების მიერ აშკარად ცნობილია, როგორც ახალი წევრი სახელმწიფოთა ოჯახისა.

3) არავითარი უფლებრივი მოსაზრებანი არ არსებობს ფორმალური ცნობის წინააღმდეგ.

ეს ცნობა არ იქნებოდა „მტრული აქტი‘‘ რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც აშკარად და დღესასწაულებრივად აღიარა ერთა თვითგამორკვევისა, გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსების უფლება».(ს.)

## აზერბეიჯანის პროტესტი ბორჩალოს შესახებ.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის თავმჯდომარემ ხანხოისკიმ ასეთი წერილით მიმართა გერმანიის მისიის თავმჯდომარეს: თბილისში—გენერალ ფონ-კრესს: აზერბეიჯანის წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან უკვე მოგახსენათ იმ ძალმომრეობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბორჩალოს მაზრის მუსულმან მცხოვრებთა მიმართ მას შემდეგ, რაც საქართველოს ჯარებმა იწყეს რკინის გზით მიმოსვლა. სოფელ შულავერის სომხები ესხმოდენ რკინის გზის ახლო მდებარე სოფლებს, დაარბიეს, გაძარცვეს და შემდეგ დასწვეს შენობები. ისმის სროლა. სხვა სოფლებიდან წაიღეს პური, და ჩალა იუხარა, სერალი და გეურ არხიდან გაიტაცეს მთელი მოძრავი ქონება, ცოცხალი ინვენტარი და სამეურნეო კუთვნილებანი. 1918 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში იმავე სომხებმა გარეკეს კოფელ აშაგასარალიდან 130 სული, სარაჩლოდან 30 საქ. ანარქიის დღეებში შულავერის მცხოვრებლებმა ტყვიები დუშინეს რქოსან საქონელს და ცხვრის ჯოგს. ახლო-მახლო სოფლებში დიდი ზიანი მიაყენეს. სოფლებში რეკვიზიციას ახდენენ, ჩხრეკენ მცხოვრებთ იარაღის აღმოსაჩენად, რის დროსაც ფულები და სხვა საოჯახო ნივთები იკარგება. ამ ნაირად ბორჩალოს მაზრის მაჰმადიანებს მიაყენეს დიდი ზარალი, რომელიც ასიათასობით აღინიშნება, როგორც ეს სჩანს იმ თხოვნებიდან და მოხსენებებიდან, რომელიც მე სხვა და სხვა პირებმა წარმომიდგინეს“.

მოითხოვს აზერბეიჯანის მთავრობა მოსპობილ იქნეს ძალ-მომრეობა, გამორკვეულ იქნეს ბორჩალოს მაზრის მუსულმანების მდგომარეობა, ანაზღაურებულ იქნეს მაჰმადიანების ზარალი, რომელიც უნდა გადახდეს სომხებს, და შეჩერებულ იქნეს მუსულმანების განიარაღება.

## რკ. გზის ხაზინადრები

გაზეთ. „ერთობაში‘‘ ბ-ნი დ. ი. ლორთქიფანიძე ასე აგვიწერს რკინის გზის ხაზინადართა ბუხჰალტერიას.

„ამა წლის 28 სექტემბერს დღით, საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობამ მე დამავალა, რომ მუშა მოსამსახურეები მეორე დღეს უპუროდ არ დარჩენილიყვნენ, ფქვილის შესაძენათ გადმოცემული ორდერით ამეღო 70,000 მანეთი რკ. გზის მთავარ გამგეობის დარბაზში მოთავსებულ № 6 ში ხაზინადარისაგან. ზემო აღნიშნულმა ხაზინადარმა კი გადმომცა არა 70,000 მან., არამედ 80.000 მან. ე. ი. 10.000 მ. მეტი. (ერთ პაკეტს ეწერა 30.000 მან. და შიგ კი იყო 40.000 მან.) ამნაირად სრულ ჩემ განკარგულებაში იყო 10.000 მ. მეტი. მე ეს, რასაკვირველია დავუბრუნე ზედმეტი 10.000 მან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთს დაუდევრობას ანუ გაუგებრობას კვლავ ადგილი აღარ ექნება, და თუ ათი ათასობით ასე ურიგეთ საჩუქრად, არამც თუ ჩვენი ჯერ ნორჩი სახელმწიფო, ძლიერი და ძველი სახელმწიფონიც გაკოტრდებიან! საჭიროა ხშირი თვალყურის დევნება და კონტროლი ვისგანაც ჯერ არს, თორემ ყოველთვის შინაურები არ ღებულობენ ჩვენი ხაზინიდან ფულებს და გამქცევები ზედმეტ ათი ათასებს უკან აღარ დააბრუნებენო“.

## მეურნეობის კრიზისი

### მიხეილ მაღალაშვილის მამული

ბორტა (გორის მაზრა). 1918 წლის იანვრის 4-ს თავის სახლის წინ რამდენიმე ტყვიით განგმირულ იქმნა განათლებული და პატიოსანი, ხალხისათვის მებრძოლი ახალგაზრდა კაცი, დიდი მემამულე და მეურნე მიხეილ ესტატესძე მაღალაშვილი.

სამწუხაროთ, ეს დღე მარტო მისთვის არ გამოდგა საბედისწერო, არამედ მისი სიკვდილი გადიქცა სიგნალათ და ნიშნათ იმ „ბართლომეს დღეებისა“, რომელიც, გაბატონებული ჯგუფის სადემაგოგიო აგიტაციის გამო, თავს დაატყდა ქართლის მშრომელ თავად-აზნაურობას.

განსვენებულის მამა, თავადი ესტატე მაღალაშვილი ეკუთვნოდა აზნაურობის იმ მაგარ, მამულის მოყვარულ და პატიოსან წრეს, რომელიც მიუხედავათ რუსის მთავრობის მიერ შექმნილ მიწის მფლობელთათვის აუტანელ პირობისა, ყოველივე გასაჭირს ებრძოლა, რათა მამული ხელიდან არ წასვლოდა და სხვათა ხელში არ ჩავარდნილიყო.

მემამულის მდგომარეობა აუტანელი იყო: მიწები განგებ ნახევარ საუკუნეობით გაუმიჯნავი რჩებოდნენ, ყოველივე უსაფუძვლო დავას მთავრობა დიდ გზას აძლევდა და აჭიანურებდა, თვითონ საკუთრება საღავო გახდა მიწის მფლობელსა და მოიჯარადრეს შორის მთავრობის ორჭოფულ ტაქტიკის წყალობით.

მემამულეს რომ გული უცრუვდებოდა ასეთ საკუთრებაზედ—მოიჯარადრეც გამოურკვეველ ყოფაში იყო. არც ყიდვისთვის ცდილობდა, რადგანაც რაღაცას გაწოვლოდა, არც ამაგსა სდებდა, რადგან საკუთრებათ არ ეგულებოდა.

ასეთ პირობებში გაჭირვებულმა და გაღატაკებულმა მემამულეებმახელი მიჰყვეს მამა-პაპეულის გაყიდვას, ხოლო, რადგან ფული და საამისო გავლენა მხოლოთ უცხოელებს ჰქონდათ, ეს მიწა წყალიც მათ ხელში გადადიოდა.

ამ გარემოებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო ისედაც აჭრელებული ქართლ-კახეთი. რა თქმა უნდა, რომ ის მემამულე, რომელიც ათას ჭირს უძლებდა და თვის მამულს არამც თუ ხელიდან არ უშვებდა, არამედ მას, პირიქით, კიდევაც არგავლებდა და აუმჯობესებდა—ნამდვილ ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

ამ თვალსაზრისით აფასებდნენ ამ გვარ ელემენტს, ასევე დააფასებს მათ მომავალი პირუთვნელი ისტორია, ხოლო ასე არ უყურებს საქმეს დღევანდელი თვისი ქვეყნის უვიცი, რომელსაც ამ სადი და მაგარი ელემენტის მოსპობა დიდათ უხარის.

ამ გვარათ მოხუცმა მაღალაშვილმა თავის ვაჟს მიხეილს დაუტოვა დიდი (3000 დესეტინამდე) მამული, რომლის მეტი ნაწილი შეძენილი ჰქონდა და მასაც შესაფერი სამეურნეო განათლება მისცა.

ამ მიზნით მიხეილ მაღალაშვილი ბელგიაში წავიდა და იქ ქენგლეს სამეურნეო სასწავლებელი გაათავა.

ამ ათიოდე წლის წინეთ დაბრუნებულმა თავის სამშობლო ქვეყანაში მან ფართე და მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღა: გადაახალისა წინაპართა სახლი, გააფართოვა და გააუმჯობესა საჭირო შენობანი, მოაწყო იორქშირის ღორის ზავოდი და ხელი შეუწყო ამ ჯიშის გავრცელებას. გააშენა ხილის ბაღი, გაადიდა ცხვრის ფარა, შეიძინა ჯიშიანი საქონელი, გააფართოვა ხნა-თესვა და სხვა, მარა მისი მოქმედი ბუნება არ ეტეოდა საკუთარ საქმიანობის ვიწრო ჩარჩოში და სულ მოკლე ხანში ადგილობრივ კულტურულ საქმიანობის სათავეში მოექცა. აირჩიეს სარწყავ წყლების მირაბათ. ითავა და გახსნა სოფელ მეტეხში სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობანი, ხელმძღვანელობდა ადგილობრივ კოოპერატივს. მიდიოდა ქალაქათ გლეხთა ათასგვარ საქმეების გამო. იყო მეთაური მეტეხის ისტორიულ ეკლესიის შეკეთებისა და სხვა.

ამის გამო, ამ სიცოცხლით სავსე და მხნე ადამიანს ხალხში დიდი და ნდობა სიყვარული ჰქონდა დამსახურებული, ეს არ მოსწონდა ამ ხალხს, რომელსაც მისი გავლენა ხელს უშლიდა სოფლათ მათ სრულს გაბატონებას.

ბოსლიდან სახლში მიმავალი მიმავალი მიხეილი, იქვე კარის წინ განგმირეს მასთან თან შეზრდილ, ომიდან დაბრუნებულ მსახურთან ერთათ, და სამეურნეო ცოდნით აღჭურვილ პირებით ისედაც ღარიბს ქვეყანას კვლავ მოაკლდა მხნე, მცოდნე და მოღვაწე კაცი.

განიავდა და მოისპო ძველი მოამაგე ოჯახი. ბაღს ღობის მავთული შემოხსნეს და შიგ ნახირები შერეკეს, დაიღუპა 1000 სული ცხვარი და სხვა საქონელი.

ბორტის ტრიალ მინდორში, ძველის ტიპიურ სახლიდან აღარ გამოსჭვივის სინათლე. ჩაქრა სიცოცხლით სავსე ინტელიგენტური კერა და ბნელ წყვდიადში ბობოქრობს წვრილ ვნებათა, წვრილ ზრახვათა ღელვა.

ც

## უცხოეთი

### ამერიკის საზავო პირობები.

ამერიკის პრეზიდენტის პროფესორ ვილსონის საზოგადო საზავო პირობები ასეთია: 1) მოისპოს ყოველივე ძალადობა, რაც აფერხებს ზავს, ხოლო, თუ ამის მოსპობა ამ ჟამად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში იგი უნდა შეიზღუდოს; 2) ტერიტორიათა აგრეთვე ეკონომიურ პოლიტიკურის და სუვერენიტეტის საკითხებში გადაჭრა თავისუფალ მიღების საფუძველზე ხალხის ინტერესებისათვის და არა სხვა რომელიმე ერის გავლენისა და ანუ მფლობელობისათვის; 3) ერების შეთანხმება ურთიერთობისა და დამოუკიდებლობისათვის, შენახვა დარბაისლობისა, პატივისცემა განათლებულ საზოგადოების ჩვეულებრივ უფლებებისა, რათა ყოველნაირი მოვალეობა და ხელშეკრულობა მტკიცედ იქნეს დაცული, და მათ წინააღმდეგ არ ჰქონდეს ადგილი ფარულ ზრახვას და შეთქმულებას; 4) შექმნა და ორგანიზაცია ისეთ ზავისა, რომელიც უზრუნველჰყოფს რითაც გაერთიანებული ძალა თავისუფალ ხალხთა გააფრთხილებს ყოველნაირ უფლებათა დარღვევას. შექმნა სამედიატორო სასამართლოსი, რომელსაც გადაეცემა ერთა შორის მომხდარი უთანხმოებანი.

პრაქტიკულ წინადადებანი ვილსონისა, აღიარებულია 8 იანვრის ცნობილ 14 მუხლში: 1) ხმოსნობა ყველა ხელშეკრულობათათვის; 2) ზღვათა თავისუფლება მხოლოდ „საერთაშორისო იძულებით‘‘ შემთხვევების გარდა; 3) ეკონომიურ დაბრკოლებათა მოსპობა, რამდენათაც შეიძლება და ვაჭრობის გათანაბრება იმ ხალხთა შორის, რომელთაც აღიარეს ზავი და გაერთიანდნენ; 4) აღარ ჰქონდეს ადგილი დიდ შეიარაღებას, მხოლოდ უზრუნველ იქმნას შინაური საფრთხის აცილება მცირე იარაღით; 5) განისაზღვროს ახალშენები, ერთა თვით გამორკვევა და დაინტერესებულ მთავრობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოხდეს თანახმად; 6) რუსეთში დაპყრობილ ყველა ოლქების ევაკუაცია, ყველა ეროვნებათა თანამშრომლობა მის დამოუკიდებელ პოლიტიკურ და ეროვნულ ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, საკუთარ კანონებზე და თავისუფალ ერთ ოჯახში ხელი შეეწყოს მის შესვლას; 7) ბელგიის ევაკუაცია და მისი სუვერენიტეტის აღდგენა; 8) ევაკუაცია საფრანგეთის ტერიტორიის, დაპყრობილ ადგილების განთავისუფლება; უსამართლობის გამოსწორება, ელზას-ლოთარინგიის დაბრუნებით; 9) იტალიის საზღვრების შესწორება ეროვნულ პრინციპზე; 10) ავსტრია-უნგრეთის ერებისათვის ავტონომიურ განვითარების მინიჭება; 11) აღდგენა რუმინეთისა, ჩერნოგორიისა და სერბეთისა, უკანასკნელს ზღვაზედ გამოსავალიც მიენიჭოს. საერთაშორისო გარანტია ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისათვის; 12) ოტომანიის იმპერიის ოსმალეთის ნაწილთა სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ერთა აბსოლუტურ ავტონომიურ თვით-განვითარების უზრუნველყოფის გარანტია, საერთაშორისო გარანტიით დარდანელის გაღება; 13) პოლონელთა მიერ დასახლებულ ოლქებით შექმნა პოლონეთისა, საერთაშორისო გარანტია მისი დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობისათვის; 14) საგანგებო შეთანხმებით საფუძველი ხალხთა საზოგადო კავშირისა, დიდ და მცირე სახელმწიფოთა პოლიტიკურ ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ამერიკის საზავო პირობები საერთოთ ორ აზროვანია, რადგან ყოველ პრინციპიალურ წინადადებას თან სდევს ისეთი პრაქტიკული დამატება, რომლითაც შეიძლება პრინციპის უარყოფა და ძველებურად ისეთი ზავის დაკანონება, რომელიც სამართლიანობას კი არა, გამარჯვებულის ზარბაზანს უგდებს ყურს.

### სომხეთის მთავრობის კრიზისი.

— ერევნიდან მოსული ცნობით, სენიორენ-კონვენტის უკანასკნელ სხდომაზე მინისტრ-თავმჯდომარე კ. კაჩაზნუნმა განაცხადა, რომ ასეთ მდგომარეობაში, რანაირშიაც არის მთავრობა, მოქმედება აღარ ძალუძს და წინადადება მისცა კოალიციური სამინისტრო შეადგინოს. ეს წინადადება მიიღეს: დაშნაკელებმა, სოც-დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ, სოციალ-რევოლიუციონერებმა კაბინეტში შესვლაზე უარი განაცხადეს.

## მიწის საკითხი ლიტვასა და ბალტიკაში.

### ჰინდენბურგის რეფორმა.

გერმანული გაზეთის „ნორდდეუტშე ალგემეინე ცაიტუნგის‘‘ ცნობით ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა, როგორც სავველე ჯარის გენერალურ შტაბის უფროსმა, შემდეგი განკარგულება მოახდინა მიწის საკითხის შესახებ აღმოსავლეთ სამხედრო მმართველობებში.

ის ამბობს: ქვეყნის და ჯარის ინტერესები მოითხოვენ, რომ ლიტვაში და ბალტიაში სამეურნეო წარმოება ფართოთ განვითარდეს. დაუმუშავებელი ადგილი არ უნდა დარჩეს, მოსახლობა უნდა გაშენდეს, ახლანდელ წარმოებებს უნდა მიეცეთ განვითარებული კრედიტით მეტი სიცოცხლის უნარი.

საერთო სასარგებლო ორგანიზაციები, რომლის განკარგულებაში იმყოფებიან გამოცდილი და საქმის მცოდნე პირნი გერმანიიდგან, აქ მოწვეულნი უკვე შეუდგნენ საქმეს. განკარგულება განაგრძობს, რო თუ რუსეთიდგან ამ კუთხეში მყოფ ერებს არავითარი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული, ეხლა ესენი შედიან გერმანიის სამეურნეო ცხოვრების მფარველ რკალში, სადაც ამ ერებს საერთო სარგებლობა ექნებათ.

თანაც დასძენს: ახალი ორგანიზაციების საშუალებით მოპოვებული მოგებანი არ უნდა ხვდეს მარტო პატარა მცხოვრებთა ჯგუფს, ვინაიდგან მათ შეიძლება გერმანიის გამარჯვებით ამ მიწაზე აწეული ფასები სასპეკულიაციოთ გამოიყენონ. ბოლოს ამბობს განკარგულება: ეს სიმდიდრე არ უნდა იმყოფებოდეს პატარა ჯგუფ მემამულეების ხელში, არამედ მრავალი რიცხოვან, მომუშავე დამოუკიდებელ, ერთ ადგილზე მცხოვრებ მოქალაქეების, ხელში რომელნიც სახელმწიფოს იმას აძლევდიან, რაც მის პირველ მოთხოვნილებას შეადგენს. ადამიანები ჯანმრთელნი ფიზიკურათ და სულით, ასეთი ჯიშის ხალხს შეუძლია ეკონომიურათ გაძლიერდეს თუ მათ სპეკულიაციას თავიდან მოაშორებთ.

მიზან შეწონილი განკარგულებანი გენერალ კვარტი მეისტერის ჰანდორფისა უნდა სისრულეში მოვიდეს, რომ ხალხს თავიდგან აიცდინოს მიწის ფასების გაძვირება და გზა გაეკაფოს ხალხის მიწაზედ ჩასახლებას. იმავე დღეს გამოცემული ბრძანება კვარტი-მეისტრის მიწის გაცემაზე და ჩასახლებაზე კურლანდიაში მოვალეთ ხდის ყოველ კურლანდიის დიდ მემამულეს, რომლის მიწა 360 ჰექტარს უდრის, მესამედი თვისი მიწისა დაუთმოს ევრეთ წოდებულ მიწის საზოგადოებას „კურლანდს“ დაწესებულ ფასებში. ეს საზოგადოება განაგებს გლეხთა დასახლების საქმეს. ფასები 1914 წლის არიან დატოვებული.

ეს მოვალეობა მემამულისა უნდა შესრულებული იქმნას ეხლავე შემდეგ პირობებში. ყოველი მემამულე ვალდებულია ამ საზოგადოებას მიყიდოს 25% თავისი მიწისა. დანარჩენი $8^1/_3$% უნდა შეიძინოს თავისუფალი ყიდვით 1914 წლის ფასებით მიწის საზოგადოებამ „კურლანდ“-მა. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე სახელმწიფო მიწებს.

### ჩვენ კორესპონდენტებს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

**რედაქტორი:** გრიგოლ ვეშაპელი.
**გამოცემა:** მთავარ კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

დაიბეჭდება ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“-

ფასი 15 შაური

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია,,-

ფასი 15 შაური

წიგნების საწყობი: „კ ლ დ ი ს“ კონტორაში

„მიწის მესაკუთრე—მეურნეთა კა შირის“

წესდების მისაღებად და წევრად ჩასაწერად მიმართეთ კავშირის საბჭოს:

(თბილისში, ბარიათინსკის ქუჩა. სამეურნეო საზოგადოების ბინა).

ქართული ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!

იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი. სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!

იყავით ქვეყნის?
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!

მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!

იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

1—1.

ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს და ასრულებს სწრაფად და საუკეთესოდ დაკლებულ ფასებში. ველიამინოვის ქ. № 20. (ყოფილი სტამბა ობოროტი).

ექიმი დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41. ტელეფ. № 14—09.